NCDC&PH

ოჯახური ძალადობა ჯანმრთელობის კვლევა ხალხთან

NCDC&PH

2011 წლის 8 ივლისს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერია“-ს წვეულებათა დარბაზში ჩატარდა კონფერენცია: 2010 წლის ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში.

კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოში ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის მესამე კვლევის წინასწარი ანგარიშის წარდგენა საქართველოს მთავრობის, სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ექსპერტების წინაშე.

კონფერენციას ესწრებოდნენ:

ქ-ნი რუსუდან კერვალიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

ბ-ნი მიხეილ დოლიძე, საქართველოს შრომის, ჯანმთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

ქ-ნი ნატა ავალიანი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (დკ&სჯეც) გენერალური დირექტორი

ბ-ნი ჯეიმს მაკგოლდრიკი, გაეროს კოორდინატორი საქართველოში

ბ-ნი ზაჰიდულ ჰიუქი, გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენელი თურქეთში, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ოფისების დირექტორი

ბ-ნი ჯონათან კონლი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო დახმარების სააგენტოს მისიის დირექტორი

➲**ბ-ნი რულანდ მონაში,** გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში

ჩატარებული კვლევის შერჩეულ მაჩვენებლებზე წარმოდგენილი მოხსენებები:

- რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში 2010- ძირითადი მონაცემები, ქ-ნი მაია ბუწაშვილი, დკ&სჯეც, გენერალური დირექტორის მოადგილე
- რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მეთოდოლოგია და შერჩევის ნიმუშის მახასიათებლები, ქ-ნი მარინა შახ-ნაზაროვა, დკ&სჯეც, მთავარი სპეციალისტი
- შობადობა და ხელოვნური აბორტი, ქ-ნი ფლორინა სერბანესკუ, CDC/ატლანტა, აშშ
- ცოდნა კონტრაცეპტიული მეთოდებისა და მათი გამოყენების შესახებ, ბ-ნი ზაზა ბოხუა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის გენერალური მდივანი
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, ბ-ნი ზაზა სინაურიძე, ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორი
- რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები ახალგაზრდებში, ბ-ნი ვასილ ეგნატაშვილი, CDC/ატლანტა, აშშ
- ქალთა ჯანმრთელობა, ქ-ნი ლელა სტურუა, დკ&სჯეც, არაგადამდებ დაავადებათა სამსახურის უფროსი

გამართულ პლენარულ დისკუსიას ფასილიტარობდა ქ-ნი ნატა ავალიანი, დკ&სჯეც-ის გენერალური დირექტორი.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო: ბ-ნმა ამირან გამყრელიძემ (ჯმო-ს წარმომადგენელი საქართველოში), ქ-ნმა ქეთი ნემსაძემ (გურამიშვილის სახ. ბავშვთა საავადმყოფოს დირექტორი), ბ-ნმა მიხეილ დოლიძემ (საქართველოს შრომის, ჯანმთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე), ქ-ნმა ფლორინა სერბანესკუმ, CDC/ატლანტა, აშშ.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა და დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა: ქ-ნმა თამარ ხომასურიძემ, (გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენელი საქართველოში). კვლევის საბოლოო ანგარიშის დაწერამდე, დაინტერესებული მხარეები შეძლებენ წინადადებები და შენიშვნები 6 თვის განმავლობაში გადასცენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.